

ქურდული სამყაროს წევრობა კანონიერი ქურდობა: დანაშაულებრივი
ქმედების განსაზღვრის პრობლემური საკითხები ქართულ
მართლმსაჯულების სისტემაში

სალომე კახიშვილი

სამართლის სკოლა

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემის ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე კახიშვილი, 06.06.22

აბსტრაქტი

სამართლის დარგში, განსაკუთრებით კი სისხლის სამართალში, მთავარი მიზანი და ამოცანა არის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა კერძო პირისგან თუ სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევისაგან. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში არის თავად სისხლის სამართლის კანონის იმ ფორმით შექმნა და ჩამოყალიბება, რომელიც გასაგები და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის. პირს უნდა შეეძლოს განსაზღვრა თუ რა ქმედება წარმოადგენს დანაშაულს, რათა თავისი ქცევა მოიყვანოს კანონთან შესაბამისობაში. განჭვრეტადობის პრინციპი უზრუნველყოფს სწორედ ზემოთ აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე ასახვას და პირდაპირ ავალდებულებს კანონშემოქმედს ნორმა ჩამოაყალიბოს იმგვარად, რომ იგი იყოს ნათელი, ხელმისაწვდომი და გასაგები ნებისმიერი ადამიანისთვის.

დღეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მსგავს პრობლემას ვაწყდებით იმ დანაშაულებთან მიმართებით, როგორცაა „ქურდული სამყაროს წევრობა, „კანონიერი ქურდობა“. აღნიშნული საკითხი დღესდღეობით ერთერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ საკითხად არის მიჩნეული როგორც პრაქტიკაში ასევე სამართლის თეორიაშიც.

ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ აღნიშნული დანაშაულის განხილვა და გამოკვლევა განჭვრეტადობის პრინციპთან მიმართებით. კვლევის მიზანია, ჩემი მხრიდან გამოვლენილ იქნას ის საკანონმდებლო ხარვეზები რაც დღეის მდგომარეობით არსებობს აღნიშნულ დანაშაულებთან მიმართებით, ასევე იმის გაანალიზება თუ რატომ ლახავს მსგავსი ჩანაწერი ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას და როგორ შეიძლება მოხდეს მსგავსი საკანონმდებლო ნორმები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ბოროტად გამოყენება. კვლევის მეთოდოლოგია იქნება როგორც ისტორიული ასევე შედარებით და სისტემური ანალიზი. შედეგები კი მიმართული იქნება პრობლემის გამოკვლევისკენ და საკანონმდებლო დონეზე ცვლილების განხორციელების საჭიროების ხაზგასმაზე.

საკვანძო სიტყვები: ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა, განჭვრეტადობის პრინციპი, სამართლებრივი სახელმწიფო.

Abstract

In the field of law, especially in criminal law, the main goal and task is to protect human rights and freedoms from illegal interference by a private individual or the state. One of the most important in this process is the creation and formation of the criminal law itself in a form that will be understandable and accessible to any person. A person must be able to determine what action constitutes a crime in order to bring his behavior into compliance with the law. The principle of foreseeability ensures the reflection of the above-mentioned issue at the legislative level and directly obliges the lawmaker to formulate the norm in such a way that it is clear, accessible and understandable to any person.

Today, in the Criminal Law Code of Georgia, we face a similar problem in relation to crimes such as "membership of the world of thieves, "lawful theft". The mentioned issue is nowadays considered one of the important and priority issues both in practice and in the theory of law.

The subject of my research is the discussion and examination of the aforementioned crime in relation to the principle of foreseeability. The purpose of the research is to identify the legal gaps that currently exist in relation to the mentioned crimes, as well as to analyze why such a record violates the legal status of a person and how such legal norms can be misused by law enforcement agencies. The research methodology will be historical as well as comparative and systematic analysis. The results will be aimed at investigating the problem and highlighting the need for changes at the legislative level.

Key words: membership of the world of thieves, legal theft, principle of foreseeability, legal state.